საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლელო საქართველოსთვის

ლელო საქართველოსთვის, ცენტრისტული პოლიტიკური პარტია. დაფუძნდა 2019 წ. 22 დეკ. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“, „შენების მოძრაობისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ გაერთიანების შედეგად. პარტიის მმართველი ორგანოა პოლიტ. საბჭო (თავ-რე – მ. ხაზარაძე, გენ. მდივანი – ი. კუპრაძე, პოლიტ. საბჭოს თავ-რე ბ. ჯაფარიძე), პარტია არის „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“ (ALDE) სრულუფლებიანი წევრი.

2020 საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ 3.15% მიიღო და პარლამენტში მისი 4 დეპუტატი შევიდა. 2021 ადგილობრივ არჩევნებში 2.71% და 27 მანდატი მიიღო.